

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავების მიზეზია საქართველოს მთავრობის, როგორც მმართველობის კოლექტიური ორგანოს გათავისუფლება იმ უფლებამოსილებებისაგან, რომლებიც შეიძლება გახდეს შესაბამის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი სამინისტროს კომპეტენცია. აღნიშნული ერთის მხრივ ხელს შეუწყობს საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს მთავრობისათვის განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ეფექტურ განხორციელებას და მეორეს მხრივ გააძლიერებს შესაბამის სამინისტროს როლს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების მისთვის მიკუთვნებულ სფეროში.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი:

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები მიზნად ისახავს საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს მთავრობისათვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისათვის ეფექტური პირობების შექმნას. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს როლის ამაღლებას კანონმდებლობით მისთვის მიკუთვნებულ მმართველობის სფეროში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს მიერ შემუშავებულ წინადადებებზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობას, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავების პროცესში წარმოებდა კონსულტაციები სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.